<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №47, 05.08.2010, მუხ. 301) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-16 მუხლის:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ავტორიზაციაზე უარის თქმის, ავტორიზაციის გაუქმების ან ავტორიზაციის ვადის გასვლის სამართლებრივი შედეგები“;

ბ) მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 - მე-4 პუნქტები:

„3. იმ შემთხვევაში, თუ საავტორიზაციო განაცხადი ცენტრში წარდგენილია ავტორიზაციის დებულებით გათვალისწინებული საავტორიზაციო განაცხადის წარდგენის ვადების დაცვით და გამოცემულია ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნის თაობაზე, ავტორიზაციის შესაბამისი საბჭოს მიერ ამ კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა“ ან ,,ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე, სტატუსის მაძიებელი დაწესებულება ჩაითვლება ავტორიზებულ საგანმანათლებლო დაწესებულებად ავტორიზაციის ვადის გასვლიდან 180 კალენდარული დღის ვადით.

4. სტატუსის მაძიებელი დაწესებულების ავტორიზებულ საგანმანათლებლო დაწესებულებად ჩათვლის წესი და პირობები განისაზღვრება ავტორიზაციის დებულებით.“.

2. 24-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 - მე-5 პუნქტები:

„4. იმ შემთხვევაში, თუ სააკრედიტაციო განაცხადი ცენტრში წარდგენილია აკრედიტაციის დებულებით გათვალისწინებული სააკრედიტაციო განაცხადის წარდგენის ვადების დაცვით და გამოცემულია ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი აკრედიტაციის მაძიებლად ცნობის თაობაზე, აკრედიტაციის საბჭოს მიერ ამ კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა“, ,,ბ“ ან ,,გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე, აკრედიტაციის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა ჩაითვლება აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამად აკრედიტაციის ვადის გასვლიდან 180 კალენდარული დღის ვადით.

5. აკრედიტაციის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამად ჩათვლის წესი და პირობები განისაზღვრება აკრედიტაციის დებულებით.“.

მუხლი 2. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ, ამ კანონის ამოქმედებიდან 6 თვის ვადაში, უზრუნველყოს სათანადო კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების ამ კანონთან შესაბამისობა.

მუხლი 3. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **მიხეილ ყაველაშვილი**